ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6525538

ნომერი: AR1969909

თარიღი : 08.06.2023

გაცემის თარიღი : 28.06.2023

გაცნობის თარიღი : 28.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N 37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ალექსი გობრონიძის ქუჩა #37-ში, შპს „ინდუსტრიული ქალაქი“ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის (03/1) სახურავზე გაბარიტული ზომის, კეხის და სიმაღლის უცვლელად საფარის ცვლილებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882023642101 23/06/2023წ. საკადასტრო კოდი N 01.11.17.006.844, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, სარეკონსტრუქციო არეალი; მინდობილობა; ვალდებულება) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-სექტორი-გლდანი, ალექსი გობრონიძის ქუჩა #37-ში, შპს „ინდუსტრიული ქალაქი“ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის (03/1) სახურავზე გაბარიტული ზომის, კეხის და სიმაღლის უცვლელად საფარის ცვლილების შესაძლებლობას.
სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით. აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.